უკსოეთი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

უკვდავი მოძღვრების ნათელი

ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 113 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

კაპარი (იტალია). აქ გაიმართა ვ. ი. ლენინის ძეგლის გვირგვინებით შემკობის საზეიმო ცერემონია. იგი მიეძღვნა პროლეტარიატის დიდი ბელადის დაბადების 113 წლისთავს.

იტალიელი მშრომელები წმინდად ინახავენ ვ. ი. ლენინის ხსოვნას. კაპრის მებადურები, გლეხები და ხელოსნები თაობიდან თაობას გადასცემენ მოგონებებს, თუ როგორ ჩამოდიოდა იგი კუნძულზე ა. მ. გორკისთან, ხვდებოდა, ესაუბრებოდა უბრალო მშრომელებს. 1970 წელს ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად კაპრიზე დადგეს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის ძეგლი. მისი ავტორია მსოფლიოში ცნობილი მოქანდაკე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი ჯ. მანცუ.

უკვე კარგ ტრადიციად იქცა, რომ ყოველწლიურად აპრილის ამ დღეებში აქ ჩამოდიან იტალიის ფართო დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რათა პატივი სცენ ჩვენი ეპოქის უდიდეს მოაზროვნეს.

გამართული ცერემონია იტალიის ბევრ კუთხეში ამყამად მიმდინარე ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვანი ღონისძიებათაგანია, რომლებიც ვ. ი. ლენინის დაბადების 113 წლისთავს მიეძღვნა.

● ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ვ. ი. ლენინმა რუსეთის ფარგლებს გარეთ ყოფნის 15 წლიდან შვიდი წელიწადი შვეიცარიაში გაატარა.

აქ კარგად ახსოვთ, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი. ზოგიერთ სახლზე, სადაც ვლადიმერ ილიას ძეს სიტყვა წარმოუთქვამს, უცხოურია, დადგმულია მემორიალური დაფები. ლენინური ადგილები შვეიცარიაში ბევრია — ჟენევა და ციურიხი, ლოზანა და კლარანი. ერთ-ერთი ქალაქი, სადაც ვ. ი. ლენინს უცხოურია და უმშვენია, არის შვეიცარიის დედაქალაქი ბერნიც.

სურათზე: ბერნი. ბლიუმენშტაინშტრასე, 17 (ყოფილი ვალდაიმშტრასე, 66). ამ სახლის პირველი სართულის ოთახში ცხოვრობდნენ ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია 1915 წელს.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ

● ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, ᲗᲣᲠᲙᲣ, ᲗᲐᲛᲞᲔᲠᲔ, ᲢᲝᲠᲜᲘᲝ, ᲚᲐᲮᲢᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲐ ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ. ვ. ი. ლენინის მემორიალური ოთახი ᲑᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲨᲘ (ხურათზე მარჯვნივ), სადაც 1917 წლის შემოდგომაზე ცხოვრობდა ვლადიმერ ილიას ძე, დიდად პოპულარულია ფინეთის მცხოვრებთა და უცხოელ სტუმართა შორის. აქ წარმოდგენილია ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, მრავალი მისი ხელნაწერის ფოტოპირები.

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

● ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ᲩᲐᲡᲐᲛᲚᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲪᲓᲔᲑᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. აქ გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა, რომელზეც შეაფასეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, აგრეთვე განიხილეს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების აქედან გამომდინარე ამოცანები.

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პირველი კვარტალის შედეგები მოწმობს სახალხო მეურნეობაში მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციის პროცესი პროგრესულად ვითარდება, რომ ამას ესწრაფვის საზოგადოება, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და მთავრობის პრეზიდიუმმა აღნიშნეს, რომ მშრომელთა საპირველმაისო დღესასწაული გახდება ქვეყანაში ვითარების შემდგომი ნორმალიზაციისადმი პოლონელი ხალხის მისწრაფებისა და ნების მანიფესტაცია. ამავე დროს, აღნიშნავს პოლონეთის პრესის სააგენტო, სხდომის დროს ყურადღება დაეთმო ამ ბოლო პერიოდში როგორც ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ არსებულ პროვოკაციულ გეგმებს ჩაშლონ პირველი მაისის დღესასწაულობა. პოლონეთში საშინაო ვითარების სტაბილიზაცია აქარწყლებს კონტრრევოლუციურ ჩანაფიქრებს, ნიადაგს აცლის ფეხქვეშ ექსტრემისტებსა და მათ ზურგს უკან მდგომ საზღვარგარეთელ წამქეზებლებს. ამიტომ ისინი მიმართავენ გაატანილ ავანტიურისტულ ცდებს გამოიწვიონ ქვეყანაში ინციდენტები, რომლებიც უკვე კარგა ხანია არ ყოფილა, შეაფერხონ პოლონეთში ცხოვრების ნორმალიზაციის პროცესი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, მთავრობის პრეზიდიუმმა გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ ამ ვითარებაში მუშათა კლასი, მშრომელები, ყველა მოქალაქე გამოავლენს მაღალ პასუხისმგებლობას. აღმოფხვრიან ცდებს გაავრცელონ არეულობა და გამოიწვიონ უწესრიგობა „საპირველმაისო კონტრმანიფესტაციების“ საბაბით, რაც საშიში კონფრონტაციის საფრთხეს ქმნის.

ამ ბოლო დღეებში კვლავ გაძლიერებით დაიწყო მუშაობა ანტიპოლონურმა პროპაგანდისტულმა მანქანამ. დასავლეთის ანტიკომუნისტური ცენტრების წამქეზებით აქტიურდებიან ყოფილი „სოლიდარობის“ ექსტრემისტთა იატაკქვეშა ჯგუფები, წერს „ტრიბუნა ლუდუ“.

სოციალიზმის მტრები თითქოს ვერ ამჩნევენ, რომ მათ უარყოფენ, და გეგმავენ ახალ აქციებს, ოცნებობენ ამჯერად „იატაკქვეშა საპირველმაისო კონტრდემონსტრაციაზე“, აღნიშნავს გაზეთი. მათ დაავიწყდათ წარსულში განცდილი ბევრი მარცხი.

„წარმოსახვის უნარსმოკლებულობა და ქრონიკული ბოროტება — ასე შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ ოპოზიციური იატაკქვეშეთის მოქმედება. საგანგებო წესების პერიოდში ისინი არაერთგზის ცდილან გამოეწვიათ ქაოსი, დაემუხრუჭებინათ შრომითი რიტმი, ხელი შეეშალათ კრიზისიდან ქვეყნის გამოსვლისათვის. არაფერი გამოუვიდათ. ისინი ზედიზედ მარცხდებოდნენ. მათი ახალი ცდაც მარცხით დამთავრდება, ხაზგასმით აღინიშნავს „ტრიბუნა ლუდუ“.

● ᲐᲤᲠ

ᲣᲮᲔᲨᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ

ᲙᲣᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲝᲢᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. კუბის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მიხიას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც გადაჭრით გმობს რეიგანის ადმინისტრაციის ახალ მტრულ აქციას თავისუფლების კუნძულის წინააღმდეგ. დოკუმენტში უარყოფილია „უკანონო საქმიანობის“ უსაფუძვლო ბრალდება, რომელიც წაუყენეს ორ კუბელ დიპლომატს, რომელთა გასასლების შესახებ გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა.

ეს უსაფუძვლო გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის მუდმივი წარმომადგენლობის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციული კამპანიის კიდევ ერთი უხეში აქციაა.

● ᲐᲜᲒᲝᲚᲐ

ᲒᲐᲐᲫᲔᲕᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ

ᲚᲣᲐᲜᲓᲐ. საფრანგეთის საინფორმაციო სააგენტოს ფრანს პრესის ლუანდის განყოფილების გამგე ჟაკ-ლიუკ პარტი ანგოლის ხელისუფლებმა გამოაცხადეს პერსონა ნონ გრატად და მან ქვეყნის ტერიტორია უნდა დატოვოს მომდინარე წლის 23 აპრილამდე. ამას იუწყებიან ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქ გავრცელებულ კომუნიკეში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის დროს ფრანს პრესის ეს წარმომადგენელი ეწეოდა თავის სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობას, რაც კარგადაა ცნობილი ანგოლის კომპეტენტური ორგანოებისათვის.

ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘ. მებოსტნეებმა დაამთავრეს საადრეო კომბოსტოს რგვა. შარშანდელთან შედარებით თითქმის სამასი ჰექტარით გაიზარდა ამ კულტურის ფართობი.

როგორი იქნება წელს ბოსტნები, როგორ წყდება ბოსტნეულის, კარტოფილის წარმოების გადიდებასთან დაკავშირებული პრობლემები? საქინფორმის კორესპონდენტის ამ კითხვებს უპასუხებს საქართველოს სსრ ხალბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების თავმჯდომარე თ. ბურნაძე.

— უფრო მდიდარი გახდება ასორტიმენტის მიხედვით რესპუბლიკის წლევანდელი ბოსტანი. დიდი ყურადღება ეთმობა ნივრის, პამიდვრის, კიტრის, ბადრიჯნის, მწვანე ლობიოს, მწვანე ცერცველას, მწვანილის წარმოების გადიდებას. წელს გაერთიანების მეურნეობებმა უნდა აწარმოონ 219 ათასი ტონა ბოსტნეული — 44 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან. კიტრი, მაგალითად, გათვალისწინებულია აწარმოონ ერთისამად მეტი. ამას მიაღწევენ როგორც ბოსტნეულის ფართობების გადიდებით, ისე ნათესების სტრუქტურის გაუმჯობესებით, პერსპექტიული ჯიშების დანერგვით, ჰექტარობრივი მოსავლიანობის გაზრდით. მაგალითად, საქართველოში ბოსტანს დაეთმობა 13 ათასი ჰექტარი — 1200 ჰექტარით მეტი შარშანდელთან შედარებით. ამ ფართობის ნახევარზე მეტი უკვე დათესილია. სამუშაოთა ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება შარშანდელს.

მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შესრულდა საადრეო კარტოფილის მოყვანის სამუშაოები ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში, რომლებიც ამ სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოებით წამყვანი რაიონებია, „კარტოფილმა დაიკავა 6800 ჰექტარი — კარტოფილსა და ხახვს თესავენ. ახალციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმს საგაზაფხულო კულტურების თესვა თითქმის დამთავრებული აქვს.

თესვა ჯერჯერობით ნელი ტემპით მიმდინარეობს ანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც საგაზაფხულო კულტურები 155 ჰექტარიდან ნახევარიც არ აქვთ დათესილი. (თავმჯდომარე — შ. კაპანაძე). ნელი ტემპითი მიმდინარეობს შვრიის, ერთწლოვანი ბალახების და ბარდის თესვა. თესვაში ჩამორჩება ვალეს კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — მ. მამუკაშვილი), სადაც ხახვისა და სხვა საკვები კულტურების თესვა ჭიანურდება. ვადები კი იწურება. თესვაში ჩამორჩენიან აგრეთვე წყალთბილისა და პამანჯის საბჭოთა მეურნეობები (დირექტორები — ო. კარაპეტიანი და მ. პაპიკიანი). ეს იმის შედეგია, რომ ამ მეურნეობებში დისკიპლინა მოიკოჭლებს, მაქსიმალურად ვერ იყენებენ ტექნიკას.

საერთოდ, რაიონში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საგაზაფხულო კულტურები 1.200 ჰექტარით მეტია დათესილი.

Შ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲒᲔᲛᲞᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲓᲔᲡ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ზეხილის ბაღებსა და ვენ-მინდვრებში მასობრივად გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები. მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის მოსავლისათვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მექანიზატორებს შორის.

საგაზაფხულო კულტურების თესვაში დაწინაურდნენ ახალციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის, აწყურის, აგარის, სხვილისის, მინაძის საბჭოთა მეურნეობების მხვნელ-მთესველები. მათ უკვე დაამთავრეს ქერის, შვრის, საკვები ძირხვენების და სხვა კულტურების თესვა, ახლა

ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲑᲘ—ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 1 საბავშვო ბაღის პირველ აღზრდილთა შორის იყო ვერა აიდაროვა-მაისურაძეც. სწორედ აქ, საბჭოთა საქართველოს პირველ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებაში, ჩაესახა მას ოცნება პედაგოგი გამხდარიყო... ამჟამად ვ. ნ. აიდაროვა-მაისურაძე თბილისის ა. ს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტია. ოცდაათ წელზე მეტი ხნის მოღვაწეობის განმავლობაში მან საშუალო სკოლების მასწავლებელთა რამდენიმე თაობა აღზარდა.

რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სასწავლებლებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ვ. ნ. აიდაროვა-მაისურაძეს მიენიჭა წოდება „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“. ამ საპატიო წოდების მინიჭების სიგელი მას რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სხვა წარჩინებულ მუშაკებთან ერთად გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

დაჯილდოებულთა სახელით გამოსულებმა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორმა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ა. კოტარიამ, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა გ. გულიაშვილმა და სხვებმა გულწრფელი მადლობა გადაიხადეს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა დაჯილდოებულთ გულთბილად მიულოცა, ჯანმრთელობა და ახალი წარმატებები უსურვა უმაღლესი სკოლის მუშაკთა წინაშე სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული პასუხსაგები ამოცანების რეალიზაციის საქმეში.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲘᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ კომუნისტური აღზრდისა და სახალხო-სამეურნეო გეგმების, სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად ნაყოფიერი მუშაობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით საგარეჯოს რაიონული გაზეთი **„ᲘᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲐ

ზედიზედ მეექვსე დღეა დონის მონასტრის დიდი ტაძრის მირქმის ეკლესიაში არ წყდება დაძაბული ძიება. 19 აპრილისათვის ნაპოვნი იყო თითქმის ყველაფერი, რისთვისაც იგი წარმოებდა, არის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები, მაგრამ, ამის მიუხედავად, სამუშაოთა მონაწილენი კმაყოფილებას როდი განიცდიან. ეს იმით აიხსნება, რომ დღემდე ვერ გადაწყდა ლამის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა — იპოვონ ვახუშტი ბაგრატიონის საფლავი.

არ წაშლილა ძვირფასი სახელები

18 აპრილს დილით რამდენიმე საფლავის ქვის ქვიტკირის საძირკვლის გაწმენდის შემდეგ ნეკროპოლის სექტორის გამგემ ა. ნ. ლუპოლმა დარწმუნებით მიუთითა მუშებს ადგილი პატარა მოედნის ცენტრში ჩრდილო-აღმოსავლეთის გასასვლელის მარცხენა მხარეს.

— აქ ამოთხარეთ, — თქვა მან, — სხვაგან ძებნას აზრი არა აქვს.

მეცნიერს ასეთ რწმენას ის აძლევდა, რომ ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი საარქივო დოკუმენტები. კერძოდ, წინათ უცნობი „მირქმის ეკლესიაში მდებარე ძეგლების აღწერა“, რომელიც 1840 წლით არის დათარიღებული. სანამ მუშები აღნიშნულ ადგილას ლინოლეუმის ორ ფენას ჭრიდნენ, კვლავ გადავფიქრდეთ ეს წყარო. „აღმოსავლეთით ამა ჭარწერის წინ, — ეკითხულობთ ჩვენ, — ტურჩანინოვის ფილის მაღლა კედლის კუთხეში იატაკზე მოჩანს ფილის ორი თეთრი ქვა, რომლებზეც ამოკვეთილი წარწერები თითქმის წაშლილა, მხოლოდ რამდენიმე სიტყვაღა თუ ჩანს“...

თითქოსდა მიზანი ახლოსაა, საკმარისია ბარის პირით ამოიღო დატკეპნილი ფენები. მაგრამ შეუჩერებელი მუშაობის კიდევ რამდენიმე საათი დასჭირდა იმას, სანამ მწარე დასკვნის გამოტანდნენ: არა, აქ არ არის...

ლინოლეუმის ქვეშ. აღმოჩნდა ბეტონის ფენა. წინანდელი კირქვისაგან განსხვავებით, რომელიც ხელსაწყოს მიკარებისთანავე ადვილად იმსხვრეოდა, მას ვერაფერი ვერ მოუხერხეს ვერც ძალაყინით, ვერც სატეხებით. ნახევარ საათს დაჰკირკიტებდნენ მუშები ერთ ადგილს — ამოთხარეს მცირე ღრმული. საჭირო გახდა კედლის გაყოლებაზე თბოტრასის ხის ხოკერის გატეხვა და იქიდან ბეტონის ფენის მსხვრევა. საქმე უფრო სწრაფად წავიდა, მაგრამ არც იმდენად, სატეხი უფრო მალე ჩლუნგდებოდა, ვიდრე მისი რამდენიმე ნაჭრის ჩამოტეხვას მოასწრებდა.

14 საათსა და 15 წუთზე ფენაში ნათლად გამოიხატა ფილის კუთხე. არქიტექტორი ზაზა კობერიძე დააცქერდა მას და წამოიძახა: გრანიტია! ყველანი კი კირქვას ველოდით.

— არის ფილა! — წამოიძახა ვიღაცამ.

მაგრამ არა ის, რომელსაც ვეძებთ...

და მაინც რესტავრატორები განაგრძობდნენ მის დამუშავებას. დასახულ ხაზზე უწყვეტი დარტყმების რამდენიმე საათის შემდეგ გამოჩნდა მეორე ფილა. პირველს კი სველი ტილოთი წმენდნენ, ფრთხილად აცლიდნენ ცემენტის ფენებს და ბოლოს „გამოამეღავნეს“ ნახევრად წაშლილი წარწერა: „თავადი კირილე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი“, საარქივო დოკუმენტებით — „საიდუმლო მრჩეველი, სენატორი და კავალერი“, რომელიც აქ 1829 წელს დაუკრძალავთ.

19 აპრილს არქეოლოგებმა გვიე ღამბაშიძემ და გურამ მირცხულავამ მუშებს ზონდაჟისათვის აჩვენეს ახალი ადგილი — პირდაპირ მირქმის ეკლესიის შესასვლელთან ეზოს მხრიდან. ეს ადგილი მათ სხვა დოკუმენტური წყაროებით — ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ჯავახიშვილის, იოსებ ტატიშვილის, გიორგი ლეონიძის, სხვა ქართველ ავტორთა წერილებით განსაზღვრეს. თითქმის ყველა წერილში ნახსენებია მონაცრისფრო თეთრი ფილა, თითქმის ყველგან ერთნაირად არის ნაჩვენები მისი ადგილმდებარეობა — ეკლესიის შესასვლელთან. მაგრამ ლეონიძემ შეძლო არა მარტო წაეკითხა იგი, არამედ ჩაეწერა კიდეც ჩვენთვის. „ჩვენ წავიკითხეთ ცუდად შენახული რუსული წარწერა საფლავის ქვისა, რომელიც გვამცნობდა შემდეგს:

«Под сим камнем лежит... царей грузинских — Вахуштиа Вахтанговича... сына царя Вахтанга... внука царя (Леона)»...

ეს იყო 1929 წელს. მაშინაც წარწერა ძლივსღა იკითხებოდა, ფაქტობრივად თითქმის წაშლილი იყო.

დღეს კი საქმე გვაქვს ბეტონთან, ვამსხვრევთ მას სანგრევი ოჯახებით. კომპრესორი მათ აწვდის შეკუმშულ ჰაერს და ხუთი ატმოსფეროს წნევით ამსხვრევს ბეტონის ქერქს, უროს მორიგეობით ხელს ჰკიდებენ სერგი გერასკინი, ზაზა კობერიძე, ზაურ ბიჭიკაევი, გურამ მირცხულავა, აარნე ვაიტმაა. რესტავრატორთა და არქეოლოგთა მოზალისე თანაშემწეთა შორის ცოტაა სპეციალისტი, მაგრამ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ერთი იმედით შედუღაბებულ ადამიანებს ვერ დაყოფ მცოდნეებად და უცოდინარებად.

მეცნიერები, რომლებსაც ყოველდღე ვესაუბრები, ფრთხილად და დელიკატურად მომიწოდებენ დავიცვა აკადემიზმი მირქმის ეკლესიიდან გადაცემულ ცნობებში: „საქმე მეტად სერიოზულია და ემოციებს ნუ აყვებითთო“. ვცდილობ ყურად ვიღო მათი რჩევა, მაგრამ, ჩემდა უნებურად, ემოცია მაინც შემეპარება ხოლმე რეპორტაჟებში. მირქმის ეკლესიაში გატარებული ეს დღეები კიდევ და კიდევ მარწმუნებენ ძველ ჭეშმარიტებაში: წარსულს აქვს მომავალი. წარსულს აქვს მომავალი, სანამ ჩვენ, დღევანდელი თაობები, გულში ვატარებთ მას, ვზრუნავთ მისთვის.

1912 წლის 17 სექტემბერს ექვთიმე თაყაიშვილი „გაზეთ „თემში“ წერდა: „...წარწერა საფლავზე წაშლილია და შარშან რამდენიმე კაცის საფლავის პოვნისათვის ბევრი შრომა დაგვჯირდა. დღეს კიდევ ოდნავ ირჩევა თითოოროლა დარჩენილი ასოს წყალობით ძვირფასი სახელი. მაგრამ გაიკვლის მცირე ხანი და მომავალი თაობა ამოიღ დაუწყებს ძებნას ძვირფას საფლავს, თუ ჩვენ არაფერ მზრუნველობას

წინაპრების, ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის ქომაგთა სახელების ღირსეულ უკვდავყოფას.

19 აპრილს აქ ჩამოვიდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე ა. მ. აფაქიძე. მირქმის მონასტერში არქეოლოგიური კვლევის ხასიათისა და მასშტაბის საკითხს, თქვა მან, სპეციალურად განიხილავს არქეოლოგიური კომისია.

შვიდსაათიანი შეუსვენებელი მუშაობის შემდეგ ეზოში გამოვედით. კომპრესორი კვლავ გუგუნებდა. და აი, მის ხმაურში ჩვენამდე აღწევს შეძახილი:

— ქვა გამოჩნდა!

მართლაც, შესასვლელის მარცხნივ თითქმის კედელთან, გამოჩნდა დაახლოებით ოცი სანტიმეტრი სიმაღლის სქელი ფილა. მასზე ჯერჯერობით არავითარი წარწერა არ ჩანს. არქეოლოგებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ეს ფილა სხვა ადგილიდან უნდა იყოს გადმოტანილი,

საძიებო-სარესტავრაციო სამუშაოები გაგრძელდება.

არქიტექტურულ-სარესტავრაციო სამუშაოები დონის მონასტრის ტერტორიაზე დაათვალიერეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ა. ჩხეიძემ.

თ. მამალაძე,
საინფორმაციო სპეც. კორ.



დღის წესრიგშია სპარტაკიადა

სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადისათვის ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელთა და ხელბურთელთა მზადების თაობაზე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელებს ვლადიმერ გელაძეს (ფრენბურთი) და ვლადიმერ მურადოვს (ხელბურთი).

ფრენბურთი ● ხელბურთი

3. გელაძე: — რესპუბლიკის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების სახსპარტაკიადო ამოცანა მეტად რთულია. იმის გამო, რომ ორივე გუნდი მოხვდა ძალიან ძლიერი შემადგენლობის ქვეჯგუფებში (ვაჟები — რსფსრ, მოსკოვი, ბელორუსია. ქალები — რსფსრ, ლენინგრადი, მოლდავეთი) ჩვენს შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ცხადია, თვალსაჩინო ადგილებს დაკავებას ვერ ვისახავთ მიზნად. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნაკრები გუნდები ძირითადად გასული წლის ახალგაზრდული თამაშების შემდეგ დაკომპლექტდა და ამდენად სატურნირო გამოცდილებაც აკლიათ. ვაჟებს ავარჯიშებენ უფროსი მწვრთნელი სპორტის ოსტატი ნიკოლოზ მუხხელიშვილი და მწვრთნელი სპორტის ოსტატი ვლადიმერ ახლანდი. გუნდმა გაიარა სახწავლო-საწვრთნელი შეკრება ლენინგრადში, იახპარზა ბათუმში საქართველოს სპარტაკიადის ფინალში. მაისის ბოლოს გუნდს დაგეგმილი აქვს შეკრება ტალინში, შემდეგ კი მოსკოვში ავარჯიშებს. გოგონებს სახწავლო-საწვრთნელი შეკრება ბაკურიანში ჰქონდათ, შემდეგ სოხუმში რესპუბლიკის სპარტაკიადის ფინალში იახპარზეს. მათი დასკვნითი შეკრება მინსკში გაიმართება მაისის ბოლოს, შემდეგ მოსკოვი... მინდა აღვნიშნო, რომ გუნდის ამჟამინდელი შემადგენლობა ახალგაზრდული და პერსპექტიულია. ქალთა კოლექტივის მწვრთნელები არიან საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შოთა მარგიშვილი (უფროსი მწვრთნელი) და სპორტის ოსტატი ციცინო აბუაშვილი. ნაკრებს კონსულტაციას უწევს წარსულში ცნობილი ფრენბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა.

3. მურადოვი: — ვერ დავიქადნით ჩვენი ხელბურთელების წლევანდელი შედეგებით საკავშირო პირველობაზე. ეს გამოიწვია „ქარიშხალას“ ვაჟთა გუნდში თამბათა ცვლამ. გარდა ამისა, ტრავმირებული იყვნენ ტაბაძე, ნავროზაშვილი, ბერიაშვილი. 7-12 მაისს ვაჟთა გუნდი მონაწილეობას მიიღებს ლენინგრადში გამართულ საბჭოთა კავშირის პირველობის დასკვნით ტურში. უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მოგვიხდება ძალების მაქსიმალური დაძაბვა. და მაინც, ვფიქრობთ, შევინარჩუნოთ წინა საკავშირო სპარტაკიადაში მოპოვებული პოზიცია — მეხუთე ადგილი. გუნდს ავარჯიშებენ უფროსი მწვრთნელი გარი მაკავარიანი და მწვრთნელი გიორგი ბერიაშვილი. გოგონებმა უკვე დაამთავრეს საკავშირო ჩემპიონატი. ისინი მაისში იახპარეზებენ რესპუბლიკის სპარტაკიადის ფინალურ ტურნირში და ინტენსიურ სახპარტაკიადო მზადებას გააგრძელებენ უფროსი მწვრთნელის ჯემშერ დვალიშვილისა და მწვრთნელის ჯულიეტა კახიანის ხელმძღვანელობით. საკავშირო სპარტაკიადის დაწყებამდე გამართავენ სამაგრო შეხვედრებს, იახპარეზებენ სხვადასხვა საკავშირო ტურნირში. გუნდი, სამი სპორტსმენის გარდა, ახალგაზრდებით დაკომპლექტდა. ამდენად ძალიან გაგვიჭირდება ძლიერ მეტოქეებთან პაექრობა.



23-24 აპრილი — ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღე

ეს ჩვენ, ცოცხლებს გვჭირდება

თამპატიჟი გამოიდო მძღოლმა: საბურავები არ მივარგა, ვერ წამოვალო, ქალაქში რამდენიც გინდა მიმსახურე, ჩემი თავი გეხაკვალოსო.

მგზავრი არწმუნებდა: გზა მოსაფალტებულია, მანქანას არაფერი დაუშავდებაო.

— ხომ ხედავ, ნაწვიმარია,— თქვა მძღოლმა, — წამოვალ და ვიცი, უნდა მოვცდე მთელი დღე.

— ოცი წუთის სავალია იქამდე. წასვლა-წამოსვლას საათი მოკუნდებით, თუ მოგაცდინე, აგიხაზღაურებ.

— კარგი, რაც იქნება, იქნება, წავიდეთ! — თქვა მძღოლმა და მანქანა დაძრა.

— აგაშენა ღმერთმა! — აღმოხდა მგზავრს. უკანა სავარძელზე მოიკალათა, გაზეთი გაშალა და კითხვას შეუდგა.

ტაქსი მიჰქროდა.

კითხვით გართულმა მგზავრმა ვერ შეამჩია, გზა როგორ გაილია. სოფლის გზაჯვარედინზე მძღოლმა სვლა შეანელა და ჰკითხა:

— ახლა საით?

მგზავრმა გაზეთი გვერდზე გადადო და ფანჯარაში გაიხედა.

— გაიჩერე, გაიჩერე!

მძღოლმა მანქანა სასაფლაოს შესასვლელთან დაამუხრუჭა და შეშფოთებულმა შესძახა:

— სად მომიყვანე, კაცო?!

მგზავრმა მშვიდად აუხსნა:

— აქ, ჩემი დედ-მამის საფლავია, თუ არ შეწუხდები, გამომყევი, შეგობარო.

— აქ რისთვის მომიყვანე კაცო?! — ახლა უფრო ხმამაღლა უსაყვედურა მძღოლმა.

მგზავრმა შეხედა მძღოლს. მიტკლის ფერი დასდებოდა სახეზე.

— ცუდად ხომ არა ხართ?

— ავადა ვარ თუ კარგად, გითხარი, არ წამოვალ-მეთქი.

— მაშინ, თუ ნებას დამრთავ, მე წავალ, დავხედავ საფლავს და ახლავე დავბრუნდები.

ორი კვირის წინ, აქ შეუმოსავი ხეები იდგა, მიწა მიშველილი იყო. ახლა აპრილი დასტყობია აქაურობას. ნაწვიმარზე მწვანედ ღაღანებდა ბალახი. კაცის ჯაჭანება არ იყო.

საფლავებს აქეთ-იქეთ საცალფეხო ბილიკი მიუყვებოდა. მგზავრი მისდევდა ბილიკს, ცდილობდა ფეხი არ დასცდენოდა და არ გადაევლო. რკინით შემოღობილ საფლავთან შედგა. ვიღაცის მოახლოვება იგრძნო. უკან მოიხედა.

— მოხვედი? — გაუღიმა მძღოლს, — აგაშენა ღმერთმა! — გახსნა კლიტით ჩარაზული კარი და შიგ შევიდა.

უცებ თითქოს ერთობაშად გათენდაო, ცაზე მზე ამობრწყინდა, კაშკაშა მზე.



გზის საფასური

თუმლის ქვეშ შეყო ხელი და თლილი ღვინის ჭიქა გამოიღო.

— იცი რამდენი წელისაა ეს ჭიქა? ორმოცდაათხის. თექვსმეტი წლისამ ამ ჭიქით პირველად დაგლიე ღვინო, მამაჩემის შესანდობარი შეგსვა. მას შემდეგ აქ ვინახავ! — ჭიქა გაწმინდა, პორტფელიდან ბოთლი ამოიღო და შიგასო.

— გაუმარჯოს მამაჩემს! — თქვა მგზავრმა, — მე მას ყოველთვის როგორც ცოცხალს ვადღეგრძელებდა. იგი ოცდაცამეტი წლის დაიღუპა ტუბერკულოზით. ახლა ვიღა იღუპება ჭლექით? ერთ კვირაში ჰკურნავენ ამ დაავადებას, თბილისში გარდაიცვალა, მაგრამ თავისი სურვილით, სადაც დაბადებული იქ დაუმარხავთ. შენ თუ გაყავს შშობლები? — ჰკითხა მძღოლს.

მძღოლს პასუხი არ გაუცია.

— ცოცხლები გყვანან?

— ცოცხლები არიან! — წაილუღლუღა მძღოლმა.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ, ძმაო. არც შენ უნდა იყო მთლად ახალგაზრდა. თმაში ჭაღარა ბევრი გამოგრევია, ორმოცი წლის იქნები?

— ორმოცდაათის!

— მე სამოცის გახლავარ. ადამიანს სიჭაბუკეში ხომ სპირდება მზრუნველი ხელი, სიბერეში — უფრო მეტად. თუ ხანშიშესულს შშობელი გყავს, წლები არ ვეტყობა. დედაჩემი ახლახან გარდაიცვალა, ოთხმოცი წლის. ჩემი შვილების დავაჟკაცებას მოესწრო. სიცოცხლით სავსე ქალი იყო. სამართლიანი და მკაცრი. ოთარაანთ ქვრივი-ოთარ პილპილმოყრილი მადლი ეცხო. ორმოცდაათი წელი ემსახურა ხალხს. ერთი სამუშაო დღეც არ გაუცდენია. ზეზეულად გათავდა. წავიდა იგი და თითქო მაშინ წამართვეს ბავშვობა, უზრუნველი ცხოვრება, ხსოვნა იყოს მისი! — მგზავრმა ღვინო ოდნავ მოსვა და დანარჩენი საფლავზე დაღვარა. ჭიქა შეავსო და მძღოლს გაუწოდა.

— ხსოვნა იყოს დედათქვენის და... ყველა იმქვეყნად წასული დედის! — ძლივს ამოთქვა მან.

— რა სიჩუმეა! მართალი გითხრა, აქ მარტო მოსვლა არც მე მსიამოვნებს... მადლობელი ვარ. ასეთ დროს სულიერის გვერდით ყოფნა ღონეს გმატებს, ახლა კი წავიდეთ. — მძღოლს ცარიელი ჭიქა გამოართვა და ქვის სასთუმლის ქვეშ შეინახა.

— წავიდეთ? ცოტაც დავიცადოთ!

— რატომ? — გაიოცა მგზავრმა. — მე საქმე აღარ მაქვს. მატარებელზე დავაგვიანებ...

— კეთილი, კეთილი, წავიდეთ! — თქვა მძღოლმა.

მძღოლი წინ გარბოდა, გარბოდა ისე, თითქოს უკან მისდევდა ვინმე. მგზავრი ძლივს ეწეოდა.

მძღოლი საჭეს მიუჯდა. მგზავრმა თავისი ადგილი დაიკავა.

მთელი გზა თითქმის ხმის ამოუღებლად, უსიტყვოდ გალიეს.

სადგურში, კიბეებთან, რაშივით მიაჭენა მანქანა მძღოლმა. მგზავრმა ხელი დაავლო პორტფელს, საბანდით შეკრულ წიგნებს და მანქანიდან გადმოვიდა.

— აბა, ნახვამდის! — ხელი გაუწოდა.

— დაიცა, მეც მოვდივარ. სათქმელი მაქვს. აგერ ბუფეტი, ცოტა ხნით შევიდეთ.

— დავიგვიანებ, აქ მითხარი, მატარებელი უკვე ჩამომდგარია. შენი საზელი? — ჰკითხა მგზავრმა.

— რად გინდა ჩემი სახელი? უმადური მქვია მე, უსინდისო.

— რატომ, შე კაცო? — შეწუხდა მგზავრი.

— რატომ და წეღან ვიცრუე. არც მე მყავს შშობლები და ჩემი დედ-მამა იქ მარხია, მაცხოვარის სასაფლაოზე, სადაც შენიანები.

— მერე და რატომ არ თქვი?

— რა პირით მეთქვა? შენ ერთი სამყურა ბალახი არ გააჭაჭანე შშობლების გულზე. ჩემების საფლავზე, ალბათ, სარეველები ხარობენ. შშობლები ადრე დამეხოცა, მერე ნათესავებმა წამიყვანეს სოფელში, იქ გავიზარდე. ახლაც იქ ვცხოვრობ, ჰოდა, დღეში ოთხჯერ თუ არა, სამჯერ მაინც მიმყავს და მომყავს ხალხი ამ გზაზე. ჩავფალი სასაფლაოს და ერთხელაც არ შევალ. ვინა ვარ მე, რა მქვია? იქნებ შენ მითხრა?!

— დამშვიდდი! რას იზამ, ასეც ხდება... სამწუხაროდ, ბევრია ჩვენში მიტოვებული საფლავი. თუმცა ახლობლის საფლავის პატრონობა ქართველებს ოდითგანვე მოგვდევს. ახლა ეს კეთილშობილი ტრადიცია უკვე დაკანონდა. უთუოდ გაიგებდი, მთავრობამ ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღე რომ დაწესა. ამის შემდეგ დათქმულ დღეს წელიწადში ერთხელ ხალხი ყოველთვის იყლის საფლავზე და უჭირისუფლო საფლავებსაც მოუვლის.

— ჰოდა, ეს რომ გავიგე სისხლი ამომეწოს, მრცხვენია, სხვამ რატომ უნდა მოუპაოს ჩემი შშობლების საფლავს? რა ვალდებულია მთავრობა ჩემს გარდაცვლილ დედ-მამაზე ზრუნავდეს? მე ხომ ცოცხალი ვარ! უმადური მქვია მე, შვილობაც შენ დაიკარგე და კაცობაც. დედ-მამის გულზე ბალახს რომ არ ახარებ.

— დამშვიდდი, დამშვიდდი, მეგობარო, ყური დამიგდე — ჩვენ მალე შევხვდებით ერთმანეთს, მე ჩემი ცოლ-შვილით ჩამოვალ აქ. ღობე უნდა შევდგეთ. ნათესავების საფლავებსაც მივხედავ. სამწუხაროდ, აქ ბევრი ჩემი ახლობლის საფლავია მიტოვებული. შენც მოდი, მე დაგეხმარები და თქვენებსაც დავუდგათ ქვის სასთუმალი. ხომ მოხვალ?

— როგორ არ მოვალ? მაგრამ... რომ ვერ ვიპოვო? გულს მიკლამს ამის გაფიქრება. თუმცა, თუთის ხე... ის თუ მიშველის, თუთის ხის ძირში დამარხეს დედა. — თქვა მძღოლმა და მგზავრმა მის სახეზე სულით ხორცამდე შეძრული კაცის ტკივილი ამოიკითხა.

— ვერ ვიპოვიო? როგორ ვერ ვიპოვით? სოფელში ყველამ იცის, ვინ სად მარხია. თუთის ხე? მაცხოვარზე სულ ოთხი ძირი თუთის ხეა. ვიპოვით, ვიპოვით, ნუ გეშინია!

მატარებელმა დაიკივლა.

— აბა, ნახვამდის, წავედი!— მგზავრი დაძრულ მატარებელს დაედევნა.

— დაიცა, დაიცა! — ყვირილით დაეწია მძღოლი და ჯიბეში რაღაცა ჩაუდო.

— რა ჭქენი, კაცო? — დაუძახა მგზავრმა — ეს ხომ შენი გასამჯელოა?

— ვერა, ვერა, ძმაო — ამ გზაზე შენ ფულს ვერ გამოგართმევ! — გასძახა მძღოლმა.

მატარებელი თვალს მიეფარა.

მძღოლი იდგა. თითქოს ამ ერთ საათში წლები ერთბაშად მორაოდა, დაბატარავებულიყო, დაჩიავებულიყო, იდგა, სახე ხელებში ჩაემალა და ქვითინებდა.

ცაზე მზე კაშკაშებდა. მერე გადიდდა, გადიდდა, სხივები გადმოყარა და ჭაღარა თმაზე მიუალერსა.

გულნარა ბახტაძე.



მიმდინარეობს კულტურისა და დასვენების პარკების საქმიანობის საკითხების განხილვა

საზაფხულო სამზადისი

კულტურისა და დასვენების პარკების ზაფხულის პერიოდისათვის მოსამზადებლად მარტიდან მაისამდე მიმდინარეობს საკავშირო დათვალიერება-რეიდი, რომელსაც აწყობენ გაზეთ „იზვესტიას“ რედაქცია და სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო.

რეიდი მიზნად ისახავს კულტურისა და დასვენების პარკების საქმიანობის გაუმჯობესებას. მოსახლეობის მასობრივი დასვენებისა და კულტურული მომსახურების ორგანიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნას, ყველა პარკის სანიმუშო მოვლას, მათს სრულ მომზადებას ზაფხულის სეზონისათვის, პარკების მოწყობაში საზოგადოებრიობის, საწარმოო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ფართოდ ჩაბმას.

მოძმე რესპუბლიკებთან ერთად საქართველოშიც დიდი მუშაობაა გაჩაღებული დათვალიერება-რეიდის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის კულტურის საოლქო გაყოფილება, თბილისის კულტურის სამმართველო, კულტურის საქალაქო და რაიონული განყოფილებები ყველაფერს ღონობენ, რათა დათვალიერება-რეიდები დადგენილ ვადებში მოეწყოს, წესრიგში მოიყვანონ პარკების ტერიტორია, შენობა-ნაგებობანი, ჩაბაბნ ამ მუშაობაში ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია და ფართო საზოგადოებრიობა.

„საბჭოთა მედიცინა“ № 2

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „საბჭოთა მედიცინის“ მორიგი, მეორე ნომერი.

რუბრიკით „სადღეისო პრობლემები“ დაბეჭდილია: ე. ჯანელიძის, ბ. კინტრაიას, ი. ქურჩიშვილის წერილი — გავზარდოთ ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და ბედნიერების საფუძველი — შობადობა და ბუნებრივი ნამატი. ს. დალაქიშვილის, ე. კოკილაშვილის, ო. გერზმავას — ასაკით პენსიონერთა ჯანმრთელობის, შრომისუნარიანობის და შრომითი მოწყობის ორგანიზაციის საკითხები.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ განყოფილებაში თქვენ გაიცნობით რ. სურმანიძის — იაკობ რეინეგსი — ექიმი, დიალომატი.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში“; „პრაქტიკოსი ექიმის დასახმარებლად“; „შემთხვევები პრაქტიკიდან“; „სოციალური ჰიგიენა და ჯანდაცვის ორგანიზაცია“; „დეპონირებული სტატიების რეფერატები“; „დეონტოლოგია“; „წერილები, კორესპონდენციები“, „გვეკითხებიან — ვუპასუხებთ“; „ჩვენი კალენდარი“; „ჩვენი ღვაწლმოსილი მედიკოსები“, „ქრონიკა და ინფორმაცია“.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

რედაქციას უპასუხებენ თბილისის საიუველირო ქარხნის დირექტორი ა. ბოჭორიშვილი, პარტბიუროს მდივანი თ. ხუჯაძე, პროფკომიტეტის თავმჯდომარე თ. ქაფიანიძე, ალკა კომიტეტის მდივანი ე. მათურელი.

რედაქციაში გამოგზავნილ პასუხში ნათქვამია: გაზეთ „კომუნისტის“ 24 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „აი, რა მოსდეს ლოთობის“. მხილებულნი იყვნენ ტაქსის მძღოლის მძარცველები, რომელთა თანამონაწილეა ჩვენი ქარხნის მუშა, კომკავშირელი ამირან ალექსანდრეს ძე მახაჭაშვილი.

ა. მახაჭაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულზე იმსჯელა № 3 საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის კრებამ და იგი გარიცხა ალკა რიგებიდან. კრებაზე მკაცრად გაკრიტიკეს საამქროს ადმინისტრაცია და კომკავშირული ორგანიზაცია იმ ხარვეზებისათვის, რომლებიც მათ აღმზრდელობით მუშაობაში აქვთ.

დამაგრების უბნის ოსტატს გ. ხოშტარიას, რომლის უბანზეც მუშაობდა ა. მახაჭაშვილი, ინდივიდუალური და აღმზრდელობითი მუშაობის არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

კრებამ დაავალა საამქროს ადმინისტრაციას, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გააძლიერონ მუშაობა ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის თვალსაზრისით, გააძლიერონ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობა.

ქარხნის ალკა კომიტეტის სხდომამ დაავალა საამქროთა და განყოფილებათა პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს ა. მახაჭაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული განიხილონ ქარხნის ყველა კომკავშირული ორგანიზაციის კრებებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი დანაშაულებრივი ქმედების აღმოსაფხვრელად.

ქარხნის საკონტროლო პუნქტის შტაბს და კადრების განყოფილებას დაევალათ ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფთან ერთად გააძლიერონ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობა.

ა. მახაჭაშვილის დანაშაული მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა ქარხნის პარტიულ და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

,,ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ“ № 2

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „საბჭოთა მედიცინის“ მორიგი, მეორე ნომერი.

რუბრიკით „სადღეისო პრობლემები“ დაბეჭდილია: ე. ჯანელიძის, ბ. კინტრაიას, ი. ქურჩიშვილის წერილი — გავზარდოთ ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და ბედნიერების საფუძველი — შობადობა და ბუნებრივი ნამატი. ს. დალაქიშვილის, ე. კოკილაშვილის, ო. გერზმავას — ასაკით პენსიონერთა ჯანმრთელობის, შრომისუნარიანობის და შრომითი მოწყობის ორგანიზაციის საკითხები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

იყო დრო, როცა საქართველოში და კერძოდ თბილისში ფრენბურთი საკმაოდ პოპულარული გახლდათ. გვყავდნენ შესანიშნავი ოსტატები, საკავშირო შეჯიბრებებში ვიკავებდით საპრიზო ადგილებს. შემდეგ კი თანდათან ამ სახეობის სპორტში ჩამოვრჩი. 1964 წლის ოლიმპიადაზე სსრ კავშირის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად თბილისელმა ვაჟა კაჭარავამ ოქროს მედალი მოიპოვა. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს ფრენბურთელთა შედეგი ასეთია: **ვაჟები.** I სპარტაკიადა (1956 წელი) — მეათე ადგილი, II (1959) — მერვე, III (1963) — მესამე, IV (1967) — მეცხრე, V (1971) — მეთერთმეტე, VI (1975) — მეათე, VII (1979) — მერვე ადგილი; **ქალები.** I სპარტაკიადა — მეექვსე ადგილი, II—მეცხრე, III — მერვე, IV — მეცხრე, V — მეცხრე, VI — მეთორმეტე, VII — მეთორმეტე ადგილი.

საქართველოს ხელბურთელმა ვაჟებმა პირველ საკავშირო ჩემპიონატში (1962 წელს) ოქროს მედლები მოიპოვეს და ისინი დიდხანს ქვეყნის მოწინავე ხელბურთელთა შორის იყვნენ. მათ არაერთხელ ისახელეს თავი როგორც საკავშირო, ისე უცხოეთის სარბიელზე. ამ ბოლო ხანს კი ჩვენმა ხელბურთელებმა შესამჩნევად დათმეს პოზიციები. სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ თბილისის „ქარიშხალას“ ვაჟთა გუნდი ორჯერ სსრ კავშირის ჩემპიონი იყო (1962 და 1964 წელს), რამდენჯერმე — პრიზიორი, ფლობდა სსრ კავშირის თასს (1978 წელს). თბილისელი ალექსანდრე ანპილოგოვი ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლების მფლობელია. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში ხელბურთი პირველად 1971 წელს შეიტანეს. საქართველოს სპორტსმენთა შედეგები ამ შეჯიბრებებში ასეთია: **ვაჟები.** V სპარტაკიადა (1971 წელი) — მეოთხე ადგილი, VI (1975) — მესამე, VII (1979) — მეხუთე ადგილი; **ქალები.** V სპარტაკიადა — მეთოთხმეტე ადგილი, VI — მეთერთმეტე, VII — მეექვსე ადგილი.

ᲥᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან,